პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 1 აპრილი, 1956 წელი. № 30 (1436) ფასი 10 კაპ.

გამოცემის 23-ე წ.

ადიგენის კოლმეურნე

АДИГЕНИС КОЛМЕУРНЕ

Орган Адигенского райкома КП Грузии и райсовета депутатов трудящихся

საქართველოს კპ ადიგენის რაიკომისა და ადიგენის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს ორგანო

ქმედითი პოლიტიკური აგიტაციისათვის

ყოველგვარი საქმის, კერძოდ, სამეურნეო საქმის წარმატებათა ძირითადი პირობა ადამიანები. თუ ისინი კარგად იცნობენ ამოცანებს, რომლებიც მათ აკისრებათ და მაღალ პოლიტიკურ შეგნებულობას ამჟღავნებენ, წარმატებათა მოპოვება წინასწარ გარანტირებულია. ამიტომ არის აუცილებელი მშრომელთა მასებში დაუცხრომლად ვიწეოდეთ მარქსიზმ-ლენინიზმის მოწინავე, ყოვლისმძლე იდეების პროპაგანდას, ვაცნობდეთ მათ ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირეულ საკითხებს, მშობლიური პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებს.

ეს კი აგიტატორის უკეთილშობილესი მოვალეობაა. მისი სართალი, ფაქტებზე დაყრდნობილი ცოცხალი სიტყვა ის მაგნიტია, რომელიც ადამიანთა გულებს იზიდავს და ახალი შრომითი აღმავლობისათვის რაზმავს. იქ, სადაც მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა, აგიტაცია სათანადო დონეზეა აყვანილი, მაღალია მასების პოლიტიკური შეგნებულობა და ნაყოფიერია მათი პრაქტიკული საქმიანობაც.

რაიონის მშრომელთა შორის უმაგალითო პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა გამოიწვიეს პარტიის XX ყრილობის ისტორიული მნიშვნელობის გადაწყვეტილებებმა, პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს მიერ უკანასკნელ დროს მიღებულმა, მშრომელთა კეთილდღეობის ამაღლებისაკენ მიმართულმა ღონისძიებებმა. ამ საქმეში თავიანთი დადებითი როლი შეასრულეს აგიტკოლექტივებმა.

რაიონში შექმნილია 27 აგიტკოლექტივი, რომელთა უმრავლესობა დაკისრებულ საპატიო მოვალეობას თავს კარგად არ-თმევს. მუშაობა მოწოდების სიმაღლეზე დააყენეს სოფლების არლის (ხელმძღვანელი ამხ. პ. გიქოშვილი), ბოლაჯურის (ხელმძღვანელი ამხ. პ. ხარშილაძე), ლელოვნის (ხელმძღვანელი ამხ. მ.ბუიძე) და სხვა აგიტკოლექტივებმა. ამ კოლმეურნეობებში კარგად აზამთრებენ პირუტყვს და საესებით მომზადებული არიან მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოებისათვის.

ამას ვერ ვიტყვით ჭეჭლის აგიტკოლექტივის (ხელმძღვანელი ამხ. პ. ყლენტი) შესახებ, რომელიც ერთობ დუნედ, არადამაკმაყოფილებლად მუშაობს. განსაკუთრებით უპასუხისმგებლობას იჩენენ აგიტატორები ნ. მეტრეველი და ლ. კეკენაძე. ამიტომ საკვირველი როდია, რომ ამ კოლმეურნეობაში არ იგრძნობა ის შრომითი პათოსი და აღმავლობა, რაც მიმდინარე მომენტის დამახასიათებელი ნიშანია.

პარტიულმა ორგანიზაციებმა უნარიანად უნდა გამოიყენონ პოლიტიკური აგიტაცია და გადაჭრით გააძლიერონ სოციალისტური სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის ბრძოლა.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ორსულობისა და მშობიაობის გამო შვებულების ხანგრძლივობის გაზრდის შესახებ

დედისა და ბავშვის დაცვის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1956 წლის 1 აპრილიდან ორსულობისა და მშობიაობის გამო შვებულება გადიდდეს 77-დან 112 კალენდარულ დღემდე და დაწესდეს შვებულების ხანგრძლივობა 56 დღე მშობიაობამდე და 56 დღე მშობიაობის შემდეგ, ამასთან ამ პერიოდში გაიცეს დახმარება დადგენილი წესით.

არანორმალური მშობიაობის ან ორი და მეტი ბავშვის დაბადების შემთხვევაში მშობიაობის შემდეგ შვებულების ხანგრძლივობა დაწესდეს 70 კალენდარული დღე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
კ. ვოროშილოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი, 1956 წლის 26 მარტი.

დავამთავროთ საგაზაფხულო ხვნა-თესვისათვის მზადება, ყოველმხრივ მომზადებული გავიდეთ მინდვრად!

ხვნა-თესვას

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ გრანდიოზული ამოცანები დასახა ჩვენი სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი მძლავრი აღმავლობისათვის. ახალი ხუთწლიანი გეგმის შესახებ პარტიის XX ყრილობის დირექტივებით დასახულია ხუთწლედის ბოლოსათვის უზრუნველყოფილ იქნას 11 მილიარდი ფუთი მარცვლეულის მიღება, ტექნიკური კულტურების, კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოების შემდგომი გადიდება. ამ ამოცანების წარმატებით განხორციელების შედეგად კიდევ უფრო ბედნიერი და საამური გახდება კოლმეურნე გლეხობის ცხოვრება, კიდევ უფრო ამაღლდება მისი მატერიალური და კულტურული კეთილდღეობა.

პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის ბრძოლის საქმეში სათანადო წვლილს შევიტანთ სმადის ვიშინსკის სახელობის კოლმეურნეობის წევრები. ჩვენ კარგად ვიცით, რომ მარცვლეულის წარმოების შემდგომი გადიდებისათვის საჭიროა საგაზაფხულო ხვნა-თესვის თავის დროზე და მაღალხარისხოვნად ჩატარება. ამიტომ ამ დიდი მნიშვნელობის სასოფლო-სამეურნეო კამპანიისათვის მზადება კოლმეურნეობის გამგეობამ და საკოლმეურნეო პარტიულმა ორგანიზაციამ დროულად გავაჩაღეთ.

წარმატებით

9 თებერვალს პარტიულ კრებაზე ვიმსჯელეთ საგაზაფხულო თესვისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ. კრებაზე აღინიშნა, რომ დაწყებული არ იყო სათესლე მასალის კონდიციამდე აყვანა, გაურემონტებელი იყო სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღები და ინვენტარი, შეუძენელი იყო თესლის შესაწამლი შხამ-მასალები, ნელი ტემპით მიმდინარეობდა მინდვრად ნაკელის გატანა, დაუკომპლექტებელი იყო ბრიგადები და რგოლები.

საგაზაფხულო თესვისათვის მზადების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად პარტიულმა კრებამ სათანადო ღონისძიებანი დასახა, რომელთა განხორციელებისათვის თვითეული კომუნისტი აქტიურად დაირაზმა. პარტიული კრების დადგენილების შემოწმებამ ცხადყო, რომ კოლმეურნეობაში 20 თებერვლისათვის დამთავრებული იყო გაზაფხულის ხორბლის, ქერისა და სიმინდის სათესლე მასალის კონდიციამდე აყვანა, თესვისათვის მზადყოფნაში აღმოჩნდა გუთნები, ყაველები, ზიგზაგები, ურმები, შეძენილია თესლის შესაწამლი შხამ-მასალები, დაკომპლექტებულია ბრიგადები და რგოლები. ამ საქმეში სათანადო წვლილი შეიტანეს კომუნისტებმა. ის ბრიგადა, რომელსაც კომუნისტი ნ. ტყემალაძე ხელმძღვანელობს, ყოველმხრივ ამზადებს საგაზაფხულო ხვნა-თესვისათვის და მუშაობას თოვლის გადნობისთანავე გააჩაღებს.

ჩავაჯარებთ

სმადის საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაცია მხარში ამოუდგება კოლმეურნეობის გამგეობას, კომუნისტებისა და უპარტიოთა ერთსულოვანი დარაზმვით უზრუნველყოფთ მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოების დროზე და მაღალხარისხოვნად ჩატარებას.

ვ. გელაშვილი,
სმადის საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციის მდივანი.

თესვისათვის მზად ვაჩრთ

პატარა სმადის კოლმეურნეობის ბემინდვრეობის № 1 ბრიგადამ გაზაფხულზე უნდა დათესოს ხორბალი 10 ჰექტარზე, ქერი—10 ჰექტარზე, სიმინდი სასურსათოდ — 30 ჰექტარზე, სასილოსედ — 8 ჰექტარზე, კარტოფილი — 7 ჰექტარზე, ბოსტნეული კულტურები—8 ჰექტარზე, ერთწლიანი ბალახი—4 ჰექტარზე. ამ დავალების შესასრულებლად ყოველმხრივ ძალიან მზადებული ვართ. საკმაო რაოდენობით მოვიმარაგეთ და თესვით კონდიციამდე ავიყვანეთ სათესლე მასალა, გავარემონტეთ გუთნები, შეეიძინეთ თესლის შესაწამლი შხამ-მასალები, გამწევი ძალა გადავიყვანეთ გაძლიერებულ კვებაზე.

დროზე დავიწყეთ და სწრაფი ტემპით ვაწარმოებთ მინდვრად ნაკელის გაზიდვას. დღეისათვის უკვე გაზიდულია 400 ტონა. ამ სამუშაოზე აქტიურად მონაწილეობენ ვალერიან ჭიტაძე, პარმენ ქველაძე, გივი ცუხიშვილი და სხვები.

ბრიგადის თვითეულ წევრს ღრმად აქვს შეგნებული, რომ მაღალი მოსავლის ერთ-ერთი აგროტექნიკური ღონისძიება არის ნათესების მორწყვა. საჯარწყავი ქსელის წესრიგში მოსაყვანად მუშაობა უკვე დავიწყეთ. გავარემონტეთ და გავწმინდეთ 1,5 კილომეტრი სიგრძის სარწყავი არხი, რომლითაც ნათესების 50 პროცენტზე მეტი მოირწყვება.

კარგად ვიცით, რომ საგაზაფხულო ხვნა-თესვა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სასოფლო-სამეურნეო კამპანიაა და მისი წარმატებით ჩატარების უზრუნველსაყოფად ყველა პირობა შევქმენით.

ი. ფოფხაძე,
პატარა სმადის კოლმეურნეობის № 1 ბრიგადის ბრიგადირი.

ᲕᲝᲡᲙᲝᲕᲘ. საინტერესოდ ტარდება მანქანათმცოდნეობის გაკვეთილები დედაქალაქის ლენინის რაიონის 588-ე სკოლაში. ერთ-ერთ კლასში დგას მსუბუქი ავტომანქანა „პობედა". იგი მოსწავლეებს აჩუქა შეფმა—სსრ კავშირის ფერადი მეტალურგიის სამინისტროს მუშაკთა კოლექტივმა. შეფმა ავტომობილი მოამარაგა სათადარიგო ნაწილებით, გამოჰყო ინსტრუქტორ-მასწავლებლები, რათა თვითეულმა მოსწავლემ შეძლოს ყველა დეტალისა და მანქანის მოწყობილობის გულდასმით შესწავლა.

სურათზე: მანქანათმცოდნეობის კაბინეტი. მასწავლებელი ი. ივანოვი ატარებს მეცადინეობას IX კლასის მოსწავლეებთან.

(საკდესის ფოტოქრონიკა).